

**აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული
პლატფორმის მე-3 საერთო კრების ოქმი**

2012 წლის 24 დეკემბერს ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 საერთო კრება.

კრებას ესწრებოდა 75 წევრი ორგანიზაცია. პლატფორმის წესდების შესაბამისად, საერთო კრებაზე ჩატარდა პლატფორმის თავმჯდომარისა და ჯგუფების თანაკოორდინატორების არჩევნები.

პლატფორმის თავმჯდომარედ საერთო კრებაზე დასახელებულ იქნენ:

- მანანა ქოჩლაძე, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", თავმჯდომარე
- ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი, თავმჯდომარე

თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 69 ორგანიზაციამ. კენჭისყრის შედეგად, მანანა ქოჩლაძემ მიიღო 43 ხმა; ვახტანგ ზარქუამ - 18; 8 ბიულეტენი - გაბათილდა.

პლატფორმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მანანა ქოჩლაძე.

თანაკოორდინატორების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 71-მა ორგანიზაციამ. ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

ჯგუფი I

1. ეკა გიგაური – საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, აღმასრულებელი დირექტორი - 24
2. ლაშა ტულუში - საქართველოს პრესის ასოციაცია, აღმასრულებელი დირექტორი - 57
3. ნაზი ჯანეზაშვილი – კონსტიტუციის 42-ე მუხლი, აღმასრულებელი დირექტორი - 50

ჯგუფი II

1. ნინო ელიზბარაშვილი – საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი", თავმჯდომარე - 64
2. ოლეგ შატბერაშვილი – ასოციაცია "ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის", თავმჯდომარე - 61

ჯგუფი III

1. თამაზ ვაშაკიძე – საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი, დირექტორი - 44
2. მურმან მარგველაშვილი – მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, დირექტორი - არჩევნების წინ მოხსნა კანდიდატურა, მაგრამ 22 ხმა მაინც მიიღო
3. ნინო ჩხოზაძე – საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, თანათავმჯდომარე - 55

ჯგუფი IV

1. ალექსანდრა კალატოზიშვილი – ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”, გამგეობის თავმჯდომარე - 51
2. მარინე სოლომონიშვილი – საერთაშორისო ფონდი „ლეა“, თავმჯდომარე - 23
3. მერი გელაშვილი – მეწარმე ქალთა ფონდი, თავმჯდომარე - 19
4. ნათია აბრამია – ჯანმრთელი სამყარო - 36

შესაბამისად, თანაკოორდინატორებად არჩეულ იქნენ:

პირველი ჯგუფი - ლაშა ტულუში და ნაზი ჯანეზაშვილი

მეორე ჯგუფი - ოლეგ შატბერაშვილი და ნინო ელიზბარაშვილი

მესამე ჯგუფი - ნინო ჩხოზაძე და თამაზ ვაშაკიძე

მეოთხე ჯგუფი - ალექსანდრა კალატოზიშვილი და ნათია აბრამია

საერთო კრებამ განიხილა ასევე, წევრობასთან დაკავშირებული საკითხები:

დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტს, ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის 3.2 პუნქტთან შეუსაბამო ქმედების გამო, შეუწყდა პლატფორმის წევრობა (70-დან 50-მა მხარი დაუჭირა, 15-მა უარი თქვა, ხოლო ბათილად იქნა ცნობილი 5 ბიულეტენი). საერთო კრების გადაწყვეტილებით, წევრობა შეუწყდათ ასევე, ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, რადგან მათ წლის განმავლობაში არ წარმოუდგენიათ განახლებული სარეგისტრაციო ფორმა და შესაბამისად, არ მიუღიათ მონაწილეობა პლატფორმის მუშაობაში:

- ორგანიზაცია "წამი"
- „შეუზღუდავი სამყარო“
- ფონდი "ALPE"
- FM სტუდია
- სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი
- კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი
- დემოკრატიის განვითარების ახალგაზრდული ცენტრი
- საქართველოს ახალგაზრდა ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო
- საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია
- თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია
- განათლების ფონდი

წესდების თანახმად, საერთო კრებაზე დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმის წევრების მიერ ინიცირებული საკითხები. პლატფორმის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიქმნა:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების, მონიტორინგისა და ანალიზის ქვეჯგუფი;
2. "განვითარების ეფექტურობის ქვეჯგუფი".

ამასთან, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჯგუფებში რეგიონული ორგანიზაციებიდან მესამე თანაკოორდინატორის დამატების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, კრებამ ასევე განიხილა წესდებაზე მომუშავე კომისიის შექმნის საკითხი. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში, სამდივნომ პლატფორმის ქსელში უნდა გაავრცელოს ინფორმაცია კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, ხოლო კომისიაში გაწევრიანების მსურველმა ორგანიზაციებმა 14 იანვრამდე უნდა აცნობონ სამდივნოს.